SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

ქ. თბილისში, ვ. ნინუას ქუჩა #3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.12.001.160) – ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება



ქ. თბილისში, ვ. ნინუას ქუჩა #3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.12.001.160) – ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება

შემსრულებელი:

შპს „STS“

ნ. არჩუაძე

ზ. ბერაძე



სარჩევი

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები 8
საკვლევი არეალი 8
არსებული სიტუაციის მიმოხილვა 9
ქუჩათა ქსელი 9
საპროექტო ტერიტორიის შესწავლა საკვლევი არიალის ფარგლებში 19
კვლევის მიზანი 19
მეთოდოლოგია (არსებული სიტუაციის შესწავლა) 19
კვლევის ჩატარების პროცესი 19
ქვეითთა მოძრაობა 21
საზოგადოებრივი ტრანსპორტი 22
რეზერვების ანალიზი 24
შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა 31
გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება 32
გენერირებული ნაკადები 34
გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი 38
მიზიდული ნაკადები 41
საკვლევი არეალის ქუჩებისა და კვანძების გამტარუნარიანობის კვლევა 50
ლოკაცია#1 დავით გურამიშვილის გამზირის, ცოტნე დადიანის ქუჩის და თორნიკე ერისთავის ქუჩის კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 1) 50
ლოკაცია#2 თორნიკე ერისთავისა და მექანიზაციის ქუჩების კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 2) 58
ლოკაცია#3 აკაკი წერეთლის გამზირის და თორნიკე ერისთავის ქუჩის კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 3) 66
გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები 76
ქუჩათა ქსელი 76
საქვეითე მოძრაობა 76
საზოგადოებრივი ტრანსპორტი 79
დანართი 80
[1] სატრანსპორტო ნაკადები მიმართულებებით 80
[2] სატრანსპორტო ნაკადები 15 წუთიანი ინტერვალებით 83
[3] M3 მარშუტები: 84
[4] M2 მარშუტები: 89
[5] ესკიზები 104
გამოყენებული ლიტერატურა 106

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01182743581**
თარიღი: **01/10/2018**
პინი: **5370**

ადრესატი: თინათინ საღარაძე
პირადი ნომერი: 01024036721
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 29ა, ბინა 7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

შპს „ჯეო-ემ-ტექს"-ის დირექტორს
ბატონ რამაზ საღარაძეს

ბატონო რამაზ,

2018 წლის 3 სექტემბრის თქვენი N10/01182463056-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ვ. ნინუას ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.12.001.160) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისთვის სატრანსპორტო კვლევის არეალის განსაზღვრის მოთხოვნას, გაცნობებთ:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ²" ქვეპუნქტის თანახმად II, III, IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას წარმოსადგენია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

დოკუმენტაციას თანდართული მოძრაობის ორგანიზების სქემა (საპროექტო ტერიტორიასა და ვ. ნინუას ქუჩას შორის კავშირის ჩვენებით) უნდა იყოს შეთანხმებული ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან. სქემის შესათანხმებლად, სამსახურში უნდა წარმოადგინოთ A3 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

დანართი 1: 4 ფურცელი

დანართი 2: 1 ფურცელი

დანართი 3: 1 ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
0160
ვ. ნინუას ქ. 7

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა		
1.1.	საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა და რეზერვი	ქუჩები: თ. ერისთავის ქუჩა; მექანიზაციის ქუჩა; ე. ბეჟანიშვილის ქუჩა კვანძები: N1. ც. დადიანის ქუჩა - თ. ერისთავის ქუჩა N2. თ. ერისთავის ქუჩა - მექანიზაციის ქუჩა N3. თ. ერისთავის ქუჩა - ა. წერეთლის გამზ.	საჭიროა მონიშნული ქუჩებისა და კვანძების ***გამტარუნარიანობის გამოთვლა, არსებული ნაკადების დათვლა და რეზერვის განგარიშება.*** საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და მირითად კვანძებს, რომლებიც უზრუნველჰყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის ძირითადი წერტილებისაკენ.
1.2.	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და საქვეითე მისაწვდომობა	*საპროექტო ტერიტორიიდან ც. დადიანის ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებამდე მისასვლელი გზა საქვეითე გადასასვლელებისა და მ/ს გოცირიძის*	საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე ***მისასვლელი მანძილი,*** საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა ***საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია*** (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): ***ტროტუარის არსებობა, ბარიერები ტროტუარზე, უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა.*** ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი.

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

		გათვალისწინებით.	საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
1.3.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობა, მოცულობა და რეზერვი		საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობის შესწავლისას საჭიროა საპროექტო ტერიტორიის მომსახურე საზ. ტრანსპორტის ***სივრცითი დაფარვის, მოცულობების და რეზერვის გამოთვლა.*** საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებული მომსახურების შესწავლა საჭიროა იმისთვის, რომ დადგინდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების არსებული რეზერვი. რეზერვის გამოთვლისა და ზეგავლენის შეფასების შემდგომ გამოვლინდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების საჭიროებები.
2	ინფორმაცია პროექტზე		
2.1.	შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი და სუფთა ფართობი ფუნქციების მიხედვით. ასევე ბინების რაოდენობა, ფართობის და სამინებლის რაოდენობის მითითებით.		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად.
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში მაცხოვრებელთა /ვიზიტორთა რაოდენობა		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

3.	**საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (საპროგნოზო) მგზავრობები**		
3.1.	საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრობების საერთო რაოდენობა		
3.2	მგზავრობების მოდალური განაწილება		მოდალური განაწილება - გადაადგილების სხვადასხვა საშუალებების წილი მგზავრობების საერთო რაოდენობაში - მანქანა, საზ. ტრანსპორტი, ქვეითი, ტაქსი. ამ მონაცემის განსაზღვრა საჭიროა, იმის დასადგენად, თუ რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილ პროექტს სამანქანო ნაკადებზე; ასევე საზ. ტრანსპორტის მიწოდების დასაგეგმად და საქვეითე ინფრასტრუქტურის მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის განაშენიანებას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო შედეგები, საჭიროა ღონისძიებების დაგეგმვა, მოდალურ განაწილებაში სამანქანო გადაადგილების წილის შემცირების მიზნით. საპროგნოზო მგზავრობების მოდალური განაწილების დადგენა უნდა მოხდეს თბილისის ***შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია.*** თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
3.3.	მგზავრობების სივრცითი განაწილება		ამ მონაცემით განისაზღვრება, რომელ გზებზე და კვანძებზე იქნება ზეგავლენა; საზ. ტრანსპორტის რომელ მიმართულებაზე/ხაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

			საპროგნოზო მგზავრობების სივრცითი განაწილების დადგენა უნდა მოხდეს ***შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია.*** თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
4. საპროგნოზო გენერირებული/მიზიდული მგზავრობების ზეგავლენის შეფასება			
	• გზათა ქსელზე (მათ შორის ძირითად კვანძებზე); • საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; • საქვეითე ინფრასტრუქტურაზე		კვლევის წინა კომპონენტებიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების ზეგავლენის შეფასება ტრანსპორტზე და ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე.
5	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზრუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
6	**გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები**		კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევისა და ანალიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:


დანართი 2. საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი
პირობითი აღნიშვნები
საპროექტო ტერიტორია
ავტობუსის გაჩერება
მეტრო
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
ჰიდროგრაფია
N
1:5000
481800
482000
482200
482400
482600
482800
483000
4621800
4621600
4621400
4621200
4621000
ზესტაფონის ქ.
ბ. დადიანის ქ.
ბ. ბეჟანიშვილის ქ.
ზ. ანთაძის ქ.
ზ. ჭიჭინაძის ქ.
ზ. ფალიაშვილის ქ.
ზ. ჭუმბურიძის ქ.
ზ. ჭუმბურიძის შეს.
ზ. ანთაძის შეს.
ზ. ფალიაშვილის ქ.
ზ. ჭიჭინაძის ქ.
ზ. ანთაძ

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მიზანია დადგინდეს ქ. თბილისში, ვ. ნინუას ქუჩა #3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.12.12.001.160) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზანშეწონილობა საგზაო ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით.

კვლევის დასახული მიზნის მისაღწევად განვიხილავთ თ.ერისთავის, მექანიზაციის და ე. ბეჟანიშვილის ქუჩების, თ.ერისთავის-ც.დადიანის, თ.ერისთავი-მექანიზაციის და თ.ერისთავი-ა.წერეთლის კვანძების დღეს არსებულ მდგომარეობას, საგზაო ინფრასტრუქტურას, ქვეითთა მოძრაობას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას.

საკვლევი არეალი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ე.ბეჟანიშვილის და ვ.ნინუას ქუჩების კვეთასთან (საკადასტრო კოდი 01.12.12.001.160). მისი ფართობი შეადგენს 5312 კვ.მ.-ს.



ილუსტრაცია # 1

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

ქუჩათა ქსელი

განვიხილავთ თ.ერისთავის, მექანიზაციის და ე. ბეჟანიშვილის ქუჩების, თ.ერისთავის-ც.დადიანის, თ.ერისთავი-მექანიზაციის და თ.ერისთავი-ა.წერეთლის კვანძების დღეს არსებულ მდგომარეობას და საგზაო ინფრასტრუქტურას.

1. თ.ერისთავის ქუჩა

#	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივივი
2	ზოლების რაოდენობა	3 - 3
3	ქუჩის სიგრძე	1250 მ
4	ქუჩის სიგანე	21 მ
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	2 - 4
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	დაშვებულია ნაწილობრივ
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	5
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი
13	ვერტიკალური მონიშვნა	არა
14	შუქნიშნის ობიექტი	5
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 1



ილუსტრაცია # 2



ილუსტრაცია # 3

2. მექანიზაციის ქუჩა

#	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივივი
2	ზოლების რაოდენობა	1 - 1
3	ქუჩის სიგრძე	480 მ
4	ქუჩის სიგანე	14-15 მ
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	2 - 4
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დაზიანებული, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	დაშვებულია
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	არა
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	არა
13	ვერტიკალური მონიშვნა	არა
14	შუქნიშნის ობიექტი	1
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 2



ილუსტრაცია # 4





ილუსტრაცია # 5

1. ე.ბეჟანიშვილის ქუჩა

#	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივივი
2	ზოლების რაოდენობა	1 - 1
3	ქუჩის სიგრძე	1580 მ
4	ქუჩის სიგანე	7-15 მ
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	1,5 - 4
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დაზიანებული, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	დაშვებულია
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	არა
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	არა
13	ვერტიკალური მონიშვნა	არა
14	შუქნიშნის ობიექტი	1
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 3



ილუსტრაცია # 6



ილუსტრაცია # 7

კვანძების აღწერა

1. ც.დადიანი - თ.ერისთავის კვანძი

	დასახელება	ქუჩები და გამზირები	
#	ც.დადიანი - თ.ერისთავი	ც.დადიანი	თ.ერისთავი
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2 - 4	3 -3
3	ქუჩის სიგანე მ	21	21
1	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყ.	დამაკმაყ.
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	კი
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	კი	კი
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	შუქნიშნის ობიექტით	შუქნიშნის ობიექტით
9	მოძრაობის მიმართულებები		
10	შენიშვნა		

ცხრილი N 4


დ. გურამიშვილის გამზ.
ღრმაღელის ქ.
თ. ერისთავის ქ.
ც. დადიანის ქ.

ილუსტრაცია # 8

2. თ.ერისთავი - ა.წერეთლის კვანძი

	დასახელება	ქუჩები და გამზირები	
#	თ.ერისთავი - ა.წერეთელი	თ.ერისთავი	ა.წერეთელი
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2 - 4	2-4
3	ქუჩის სიგანე მ	21	25 - 26
4	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყ.	დამაკმაყ.
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	კი
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	კი	კი
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	შუქნიშნის ობიექტით	შუქნიშნის ობიექტით
9	მოძრაობის მიმართულებები		
10	შენიშვნა		

ცხრილი N 5



ილუსტრაცია # 9

3. თ.ერისთავი-მექანიზაციის კვანძი

დასახელება ქუჩები და გამზირები

#	თ.ერისთავი-მექანიზაცია	მექანიზაცია	თ.ერისთავი
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	1-1	3 -3
3	ქუჩის სიგანე მ	14-15	21
1	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყ.	დამაკმაყ.
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	არა	კი
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	კი	კი
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	შუქნიშნის ობიექტით	შუქნიშნის ობიექტით
9	მოძრაობის მიმართულებები		

ცხრილი N 6



ილუსტრაცია # 10

საპროექტო ტერიტორიის შესწავლა საკვლევი არიალის ფარგლებში

კვლევის მიზანი

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის, სატრანსპორტო და საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა. პროექტის განხორციელების შემდგომ სატრანსპორტო ნაკადებზე ზეგავლენის შეფასება.

მეთოდოლოგია (არსებული სიტუაციის შესწავლა)

პირველ ეტაპზე, რუკაზე განისაზღვრება საკვლევი ტერიტორიის არეალი და აღინიშნება ის ქუჩები, გამზირები და გზაჯვარედინები (მოცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ), რომლებზეც ზეგავლენას მოახდენს პროექტის განხორციელება.

საპროექტო არეალზე მისვლით და შესწავლით, ზუსტდება ადგილები და მათი რაოდენობა, სადაც უნდა განხორციელდეს კვლევა.

დამკვირვებლებს რომლებიც კვლევის განხორციელებაში იღებენ მონაწილეობას ჩაუტარდათ ტრეინინგი. მათი უმრავლესობა შეადგენს სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან საჭირო უნარჩვევებით კონკრეტული დავალებების შესასრულებლად.

კვლევის ჩატარების პროცესი

ეტაპი პირველი: საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევა

განისაზღვრა საპროექტო არეალიდან გამომსვლელი და შემსვლელი ქვეითთა სავარაუდო გადაადგილდების სქემა.

ეტაპი მეორე: საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწვდომადობის შესწავლა

საპროექტო არეალიდან უახლოეს გაჩერებებზე ჩავატარეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის კვლევა.

კვლევა განხორციელდა დამკვირვებლების მიერ, სუპერვაიზერის მეთვალყურეობის ქვეშ.

კვლევა განხორციელდა კვირის ორ სამუშაო დღეს, დილის და საღამოს პიკი საათებში (25-26 ოქტომბერი, ხუთშაბათი-პარასკევი, 08:30 - 09:30 და 18:00 - 19:00 სთ).

საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის ანალიზისათვის, აღვრიცხეთ გაჩერებაზე M3 და M2 კატეგორიის ავტობუსები. გაჩერებებზე დამკვირვებლებმა მოახდინეს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დაკვირვება და მისი დატვირთულობის შეფასება.

შევიმუშავეთ 10 ბალიანი სისტემა სატრანსპორტო საშუალებების დატვირთულობის ანალიზისათვის (ცხრილი N 7).

გაჩერებებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის შეფასება .											
M2 კატეგორიის ავტობუსი (16 დასაჯდომი + 5 ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მგზავრების რაოდენობა	0	2	4	6	9	12	14	16	18	20	21 +
M3 კატეგორიის საშუალო ტევადობის ავტობუსი (21 დასაჯდომი + 22 ნებადართული ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მგზავრების რაოდენობა	0	3	8	12	16	21	26	30	35	39	43 +
M3 კატეგორიის დიდი ტევადობის ავტობუსი (31 დასაჯდომი + 49 ნებადართული ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მგზავრების რაოდენობა	0	5	10	18	24	31	40	50	60	70	80 +
შენიშვნა	10 ქულა ნიშნავს სრულ დატვირთულობას, როდესაც ტრანსპორტში ასვლა შეუძლებელია და გაჩერებაზე არსებული მგზავრი ვერ ახერხებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ასვლას.										

ცხრილი N 7

მიღებული შეფასებებიდან და სატრანსპორტო საშუალებების ტევადობებიდან გამომდინარე, მოხდა მათი ცხრილის სახით ფორმატირება, სადაც ასევე მიღებულია კომბინირებული მონაცემები თითოეული მარშრუტის საშუალო დატვირთულობისა და რეზერვის გათვალისწინებით.

ეტაპი მესამე: სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა

პროექტის არეალიდან გამომდინარე, განსაზღვრულ კვანძებზე, კვლევა განხორციელდა კვირის ორ სამუშაო დღეს, დილის და საღამოს პიკი საათებში (23-24 ოქტომბერი, სამშაბათი-ოთხშაბათი, 09:00 - 10:00 და 18:00 - 19:00 სთ).

სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა ხდება თანამედროვე ვიდეო კამერებით (ილუსტრაცია # 11),**Error! Reference source not found.** რის შემდეგაც საგზაო მონაცემებს ამუშავებენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები.



ილუსტრაცია # 11

ქვეითთა მოძრაობა

ქვეითთა მოძრაობის შესწავლისას განვიხილავთ მათ საპროექტო ტერიტორიიდან ე.ბეჟანიშვილისა და ც.დადიანის ქუჩებზე #1738 და #1736 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებამდე გადაადგილებას.

#1738 გაჩერებამდე მისასვლელად ქვეითმა ე.ბეჟანიშვილის და ც.დადიანის ქუჩებზე არსებულ ტროტუარებზე უნდა გაიაროს 600 მეტრი (8 წუთი ფეხით სავალი), ხოლო #1736 გაჩერებამდე ქვეითმა ე.ბეჟანიშვილის და ც.დადიანის ქუჩებზე არსებულ ტროტუარებზე და შექნიშნის ობიექტთან არსებულ ზებრა გადასასვლელებზე უნდა გაიაროს 630 მეტრს (8 წუთი ფეხით სავალი).

მეტროს სადგურ „გოცირიძემდე“ ქვეითი უნდა გადაადგილდეს ვ.ნინუას და ზესტაფონის ქუჩებზე არსებულ ტროტუარებზე, გასავლელი მანძილი შეადგენს 800 მეტრს (10 წუთი ფეხით სავალი).



ილუსტრაცია # 12

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კვლევისას განვიხილავთ საკვლევ ტერიტორიასთან უახლოესად მდებარე 2 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებას და მათზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობას.

„1 მიმართულება“

#1736 (ც.დადიანის გამზირი, წიწამურის ქუჩის მიმდებარედ, გურამიშვილის გამზირის მიმართულებით)

„2 მიმართულება“

#1738 (ც.დადიანის გამზირი, #11 რუსული სკოლის მიმდებარედ, გადასასვლელი ხიდის მიმართულებით)

M3 მარშრუტები	#17,	#23	#62	#70	#95			
M2 მარშრუტები	#16	#36	#49	#77	#101	#117	#122	#126
	#129	#135	#142	#150	#184	#192	#197	#198



ილუსტრაცია # 13

*** M3 კატეგორიის მარშრუტები იხილეთ დანართში N5**



ილუსტრაცია # 14

რეზერვების ანალიზი

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსების მაქსიმალური ტევადობების და დატვირთულობების შესწავლით მოვახდინეთ პიკის საათებში საშუალო რეზერვების გამოთვლა მიმართულებების და მარშრუტების მიხედვით.



ცხრილი N 8



ცხრილი N 9



ცხრილი N 10



ცხრილი N 11

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებში არსებული რეზერვების რაოდენობები მარშრუტების მიხედვით პიკის საათში (08:30-09:30) მოცემულია ცხრილების სახით.

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	ტევადობა	ინტერვალი (წთ)	სიხშირე (რაოდენობა/ საათში)	მოცულობა ადამიანი/ საათში	დატვირთულობის კოეფიციენტი	დატვირთულობა ადამიანი / საათში	რეზერვი (ადამიანი /საათში)
1	2	3	4	5	6	7	8	9
		A	B	C=60/B	D=A*C		F	G=D-F
16	მ/ს "სადგურის მოედანი "	21	60	1	21	4.0	8	13
	ჭოლა ლომთათიძის ქ.	21	60	1	21	5.0	11	11
49	ილია ვეკუას ქ.	21	15	4	84	5.3	44	40
	მუხიანის I მ/რ	21	10	6	126	7.8	99	27
77	მ/ს "სადგურის მოედანი"	21	12	5	105	6.6	69	36
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	8	8	168	5.8	97	71
101	მ/ს "სადგურის მოედანი"	21	10	6	126	4.0	50	76
	ჩარგლის ქ.	21	10	6	126	4.5	57	69
117	ვაზისუბნის I მ/რ	21	12	5	105	8.4	88	17
	თბილისი მოლის მიმდებ.	21	8	8	168	6.0	101	67
122	ნიკო ფიროსმანის მოედნი	21	30	2	42	8.0	34	8
	მაღლივი კორპუსი	21	60	1	21	1.0	2	19
126	ილია ჭავჭავაძის გამზირი	21	20	3	63	6.7	42	21
	ზღვის უბნის დასახლება X"ა" კვ	21	5	12	252	7.9	200	53
129	მ/ს "საგურის მოედანი "	21	60	1	21	1.0	2	19
	ეკა ბეჟანიშვილის ქ.	21	30	2	42	6.5	27	15
135	მაღლივი კორპუსი	21	20	3	63	5.7	36	27
	მუხიანის IV "ბ" მ/რ	21	10	6	126	7.7	97	29
142	დავით კლდიაშვილის ქუჩა	21						
	მუხიანის IV მ/რ	21	20	3	63	5.7	36	27
150	ვარკეთილი 3, I მ/რ	21	7	9	189	7.4	141	48

	კონსტანტინე ჩაჩავას ქ.	21	9	7	147	6.7	99	48
184	მ/ს "დიდუბე	21	20	3	63	5.0	32	32
	სანდრო ეულის ქ.	21	12	5	105	3.8	40	65
192	მ/ს "ისანი"	21	10	6	126	7.0	88	38
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	10	6	126	6.8	86	40
197	მ/ს "სადგურის მოედნი"	21	12	5	105	3.0	32	74
	ზღვის უბნის IV მ/რ	21	8	8	168	6.1	103	65
198	წინანდლის ქ.	21	15	4	84	5.0	42	42
	გლდანულა	21	12	5	105	7.2	76	29
17	რკინიგზის გადასასვლ ხიდი	43	15	4	172	6.0	103	69
	მუხიანის IV ბ მ/რ	43	20	3	129	6.3	82	47
62	სადგურის მოედანი	43	15	4	172	7.8	133	39
	ზღვის უბნის III მ/რ IV კვ.	43	15	4	172	7.3	125	47
70	რკინიგზის გადასასვლ ხიდი	43	15	4	172	6.5	112	60
	ქვემო ავჭალა	43	20	3	129	8.7	112	17
23	ზარათაშვილის ქუჩა	80	20	3	240	7.0	168	72
	გლდანის ტბა	80	15	4	320	7.5	240	80
95	ზარათაშვილის ქუჩა	80	30	2	160	8.0	128	32
	მუხიანის III მ/რ	80	20	3	240	8.7	208	32
1 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M3 რეზერვი								272
2 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M3 რეზერვი								224
1 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M2 რეზერვი								489
2 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M2 რეზერვი								636

ცხრილი N 12

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებში არსებული რეზერვების რაოდენობები მარშრუტების მიხედვით პიკის საათში (18:00-19:00) მოცემულია ცხრილების სახით.

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	ტევადობა	ინტერვალი (წთ)	სიხშირე (რაოდენობა/ საათში)	მოცულობა ადამიანი/ საათში	დატვირთულობის კოეფიციენტი	დატვირთულობა ადამიანი / საათში	რეზერვი (ადამიანი/ საათში)
1	2	3	4	5	6	7	8	9
		A	B	C=60/B	D=A*C		F	G=D-F
16	მ/ს "სადგურის მოედანი "	21	60	1	21	8.0	17	4
	ჭოლა ლომთათიძის ქ.	21	30	2	42	0.5	2	40
49	ილია ვეკუას ქ.	21	9	7	147	7.9	116	32
	მუხიანის I მ/რ	21	12	5	105	5.6	59	46
77	მ/ს "სადგურის მოედანი"	21	12	5	105	9.0	95	11
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	12	5	105	5.2	55	50
101	მ/ს "სადგურის მოედანი"	21	12	5	105	6.8	71	34
	ჩარგლის ქ.	21	10	6	126	2.2	27	99
117	ვაზისუბნის I მ/რ	21	12	5	105	5.4	57	48
	თბილისი მოლის მიმდებ.	21	9	7	147	7.3	107	40
122	ნიკო ფიროსმანის მოედნი	21	30	2	42	1.5	6	36
	მაღლივი კორპუსი	21	60	1	21	5.0	11	11
126	ილია ჭავჭავაძის გამზირი	21	9	7	147	6.3	92	55
	ზღვის უბნის დასახლება X"ა" კვ	21	10	6	126	4.0	50	76
129	მ/ს "საგურის მოედანი "	21	60	1	21	2.0	4	17
	ეკა ბეჟანიშვილის ქ.	21	60	1	21	1.0	2	19
135	მაღლივი კორპუსი	21	15	4	84	6.5	55	29
	მუხიანის IV "ბ" მ/რ	21	15	4	84	4.3	36	48
142	დავით კლდიაშვილის ქუცა	21						
	მუხიანის IV მ/რ	21	30	2	42	3.5	15	27
150	ვარკეთილი 3, I მ/რ	21	10	6	126	7.3	92	34
	კონსტანტინე ჩაჩავას ქ.	21	8	8	168	7.5	126	42

184	მ/ს "დიდუბე	21	30	2	42	4.0	17	25
	სანდრო ეულის ქ.	21	20	3	63	4.3	27	36
192	მ/ს "ისანი"	21	15	4	84	8.0	67	17
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	12	5	105	6.2	65	40
197	მ/ს "სადგურის მოედნი"	21	12	5	105	9.4	99	6
	ზღვის უბნის IV მ/რ	21	20	3	63	3.0	19	44
198	წინანდლის ქ.	21	20	3	63	6.3	40	23
	გლდანულა	21	15	4	84	5.3	44	40
17	რკინიგზის გადასასვლელი ხიდი	43	20	3	129	8.0	103	26
	მუხიანის IV ბ მ/რ	43	15	4	172	6.8	116	56
62	სადგურის მოედანი	43	20	3	129	9.3	120	9
	ზღვის უბნის III მ/რ IV კვ.	43	20	3	129	7.0	90	39
70	რკინიგზის გადასასვლელი ხიდი	43	15	4	172	7.5	129	43
	ქვემო ავჭალა	43	12	5	215	5.4	116	99
23	ბარათაშვილის ქუჩა	80	20	3	240	6.7	160	80
	გლდანის ტბა	80	30	2	160	6.5	104	56
95	ბარათაშვილის ქუჩა	80	60	1	80	7.0	56	24
	მუხიანის III მ/რ	80	20	3	240	5.0	120	120
1 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M3 რეზერვი								181
2 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M3 რეზერვი								370
1 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M2 რეზერვი								370
2 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M2 რეზერვი								657

ცხრილი N 13

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა



ილუსტრაცია # 15

საპროექტო შენობა შედგება 3 ბლოკისგან, აქედან ერთი არის - 2, მეორე - 9, ხოლო მესამე 13 სართულიანი. მიწისპირა სართულის ფართი არის 1082 კვ.მ. შემდეგ ფართი ეტაპობრივად იკლებს. სამივე ბლოკის ქვეშ -3,55 ნიშნულზე მდებარეობს ერთდონიანი ავტოსადგომი, რომელიც გათვლილია 24 ავტომობილზე და რამოდენიმე სათავსო. მიწისპირა სართულზე გვხვდება ორი დონე, 0.00 და -0,85. ამ სართულზე განლაგებულია კომერციული სივრცე, დახურული ავტოსადგომი 12 ავტომობილზე ხოლო ღია პარკინგი 19 მანქანაზე სულ ჯამში 55 ავტოსადგომი, საქმიანი ზონა, რომელიც მოიცავს ჰოლს, დაცვას, გასახდელსა და ექიმის ოთახებს. მეორე და მესამე სართული მთლიანად დათმობილია საქმიანი ზონისთვის, აქ არის დიდი ოთახები, რომელშიც მოეწყობა „coworking" ტიპის საოფისე სივრცე. მეოთხე და მეხუთე სართულზე მდებარეობს ჰოსტელის ტიპის საერთო საცხოვრებელი, აბაზანა-ტუალეტები და საერთო თავშეყრის სივრცე-კაფე. მეექვსე სართულიდან მეცამეტეს ჩათვლით მოწყობილია საცხოვრებელი ერთეულები (ბინები). შენობაში არის ორი კიბე, და ორი ლიფტი, აქედან ერთი სამგზავრო, ხოლო მეორე-სატვირთო. შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, რომელზეც მოეწყობა საზაფხულო სივრცე.

დასახელება	რაოდენობა	განზომილება
საერთო ფართობი	**11540.25**	მ²
საცხოვრებელი ფართობი	**3879.4**	მ²
საოფისე ფართობი	**2509.5**	მ²
კომერციული ფართობი	**166.7**	მ²
საზაფხულო ფართობი	**1257.85**	მ²
ავტოსადგომის ფართობი	**1351.3**	მ²

ცხრილი N 14

გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება



ილუსტრაცია # 16



ილუსტრაცია # 17

გადაადგილებების სივრცითი და მათემატიკური ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა სატრანსპორტო ნაკადების განაწილების რუკა სამიზნე მაკრო ზონების მიხედვით, რომელიც მთელ ქალაქზე განზოგადდება არსებული სატრანსპორტო ნაკადების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან გამოყვანილი კოეფიციენტების მიხედვით მოხდა ჩვენს მიერ დათვლილი სატრანსპორტო ნაკადების პროპორციული გადანაწილება იმ კვანძებზეც, რომლების ანალიზიც მოთხოვნილია დავალების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

გენერირებული ნაკადები

დასახელება	რაოდენობა
გამოკითხული შინამეურნეობა	95
გამოკითხული ადამიანები	278
ყველა სახის გადაადგილება	447
გამოკითხულ შინამეურნეობათა მფლობელობაში არსებული მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები	36
ავტომობილიზაციის კოეფიციენტი მაკრო ზონისთვის	0.38
გადაადგილებები	
ავტომობილის მძღოლი	82
ავტომობილის მგზავრი	51
ტაქსით	10
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	181
ქვეითი	118
სხვა გადაადგილება	5

ცხრილი N 15

იმის გასარკვევად, თუ რა სახის ტრანსპორტით გადაადგილება ჭარბობს აღნიშნული მიკრო ზონებიდან, მოხდა მათი მოდალური განაწილება გადაადგილების საშუალებების მიხედვით:



ილუსტრაცია # 18

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხდა მოტორიზებული სატრანსპორტო კერძო საშუალებებით გადაადგილების ანალიზი გეოსაინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, რათა მომხდარიყო მათი სივრცული აღქმა/განაწილება.

საკვლევი ზონიდან ყველა მიმართულებით კერძო ტრანსპორტით გადაადგილებების რიცხვი შეადგენს 143-ს, რაც მთლიანი გადაადგილებების 32%-ა. შემდგომ ილუსტრაციაში მოცემულია საკვლევი ზონის შიგნით(N32) ზონის შიგნით არსებული გადაადგილებების მოდალური განაწილება.



ილუსტრაცია # 19

რუკაზე გამოსახულია ავტომობილით გადაადგილებების სივრცითი განაწილება რაოდენობის მიხედვით სამიზნე ზონებში. უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილებით გადაადგილების სრული რაოდენობის 7.7% ხორციელდება თვითონ საკვლევი მაკრო ზონის შიგნით. საკვლევი ზონის შიგნით ასევე პოპულარულია ფეხით სიარულიც(76%).



ილუსტრაცია # 20

შემდგომ ეტაპზე მოხდა საკვლევი მიკროზონებიდან გენერირებული გადაადგილებების კვლევა მოტივის მიხედვით. ილუსტრაციაზე მოცემულია გადანაწილების პროცენტული მაჩვენებლები გადაადგილების მოტივის მიხედვით:



ილუსტრაცია # 21



ცხრილი N 16

გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი



ილუსტრაცია # 22

რუკაზე გამოსახულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებების ინტენსივობა ფერების გრადაციით.

შემდგომ ცხრილში მოცემულია გენერირებული ადამიანების რაოდენობების ანგარიშები ფართების ტიპების მიხედვით:

	ფართი	კოეფიციენტი[1]	ადამიანების რაოდენობა	კოეფიციენტი[2]	გადაადგილებების სრული რაოდენობა
საცხოვრებელი	3879.4	18.6	209	1.56	325
საოფისე	2509.5	9.3	270	2	540

ცხრილი N 17 მიზიდული გადაადგილებები (შინამეურნეობების კვლევა)

საცხოვრებელ ფართზე გამოყვანილი სავარაუდო მაცხოვრებლების რაოდენობიდან(209) შეგვიძლია ვიანგარიშოთ დღიური სავარაუდო გადაადგილებების რაოდენობა:

[1] კოეფიციენტი აღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება N 41-დან (2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი, დაკავებულობა)

[2] ადამიანების გამოთვლილი რაოდენობის მიერ შესრულებული სრული დღიური გადაადგილებების კოეფიციენტი (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016))

$$\text{დღიური გადაადგილება} = 209 * 1.56^{3} = \mathbf{325}$$

$$\textit{დილის პიკის საათი} = 325 * 30\%^{4} = \mathbf{98}$$

შინამეურნეობების მობილობის კვლევის ანალიზისას ვარკვევთ დილის პიკის საათში შესრულებულ გადაადგილებების მოდალურ განაწილებას:



ილუსტრაცია # 23

	გენერირებული გადაადგილება დილის პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	98	0.41	40
ქვეითი	98	0.22	21
ავტომობილის მგზავრი	98	0.12	12
ავტომობილის მძღოლი	98	0.22	21
ტაქსის მგზავრი	98	0.02	2
სხვა	98	0.01	1

ცხრილი N 18 ემატება დილით წამსვლელებს საცხოვრებლიდან

[3] 1.56 - დღიური გადაადგილების მაჩვენებელი თბილისის საშუალო მაცხოვრებლისთვის (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016))

[4] 30% -დილის პიკის საათის გენერირებული გადაადგილებების წილი (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016))

შემდეგ დიაგრამაზე ნაჩვენებია საღამოს პიკის საათში საოფისე ფართიდან გენერირებული ადამიანების მოდალური განაწილება გდაადგილების საშუალებების მიხედვით:



ილუსტრაცია # 24

	გენერირებული გადაადგილება საღამოს პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	270	0.56	152
ქვეითი	270	0.10	28
ავტომობილის მგზავრი	270	0.08	21
ავტომობილის მძღოლი	270	0.26	69

ცხრილი N 19 ემატება საღამოს წამსვლელებს ოფისიდან

მიზიდული ნაკადები

საკვლევ მიკროზონებში მიზიდული ნაკადების შემთხვევაში გადაადგილებების რაოდენობა ყველა სხვა ზონიდან შეადგენს 449- ს.



ილუსტრაცია # 25

საკვლევ ზონაში მიზიდული გადაადგილებები (საზოგადოებრივი ტრანსპორტით)



ილუსტრაცია # 26


მიზიდული გადაადგილებები სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით
სხვა 0.22%
ქვეითი 25.22%
საზოგადოებრივი ტრანსპორტი 41.74%
კომბინირებული 0.89%
ავტომობილის მგზავრი 10.49%
ავტომობილის მძღოლი 18.30%
ტაქსის მგზავრი 3.13%
საზოგადოებრივი ტრანსპორტი
ტაქსის მგზავრი
ავტომობილის მძღოლი
ავტომობილის მგზავრი
კომბინირებული
ქვეითი

ცხრილი N 20

შემდეგ დიაგრამაზე ნაჩვენებია დილის პიკის საათში საოფისე ფართზე მოზიდული ადამიანების მოდალური განაწილება გდაადგილების საშუალებების მიხედვით:



ილუსტრაცია # 27

	მიზიდული გადაადგილება დილის პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	270	0.46	124
ქვეითი	270	0.14	39
ავტომობილის მგზავრი	270	0.10	26
ავტომობილის მძღოლი	270	0.30	81

ცხრილი N 21 ემატება დილით ოფისში მომსვლელებს

$$\text{საღამოს პიკის საათი} = 325 * 22\%^{5} = \mathbf{72}$$



ილუსტრაცია # 28

	მიზიდული გადაადგილება საღამოს პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	72	0.36	26
ქვეითი	72	0.21	15
ავტომობილის მგზავრი	72	0.17	12
ავტომობილის მძღოლი	72	0.23	16
ტაქსის მგზავრი	72	0.02	1
სხვა	72	0.02	1

ცხრილი N 22 ემატება საღამოს საცხოვრებელში მომსვლელებს

[5] 22% -საღამოს პიკის საათის მოზიდული გადაადგილებების წილი (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016))

თუ შევაჯამებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეზერვების ანალიზსა(თავი: „რეზერვების ანალიზი“) და ზემოაღნიშნულ ანგარიშებს, უხეშად შეგვიძლია გამოვიყვანოთ მგზავრთგადაყვანის არსებული და მოსალოდნელი რეზერვი. აღსანიშნავია, რომ მოზიდული და გენერირებული მგზავრები ავტობუსის გაჩერებებზე დამატებულია შესაბამისი ორივე მიმართულებაზე:

მიმართულების N	M3	M2	სრული რეზერვი[6]	დამატებული სავარაუდო მგზავრი
		დილა		
1	272	489	761	164
2	224	636	860	
		საღამო		
1	181	370	551	178
2	370	657	1027	

ცხრილი N 23. საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეზერვების ანალიზი

რეზერვების ანალიზის მიხედვით, საპროექტო ნაკადების დამატებით, ორივე მიმართულებით რეზერვი დამაკმაყოფილებელია.

გენერირებული და მიზიდული სავარაუდო დამატებული მგზავრების გადანაწილება მარშუტებზე მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	გენერირებული მგზავრების გადაადგილება პროცენტებში	დამატებულ მგზავრთა რაოდენობა დილის პიკის საათი	დამატებულ მგზავრთა რაოდენობა საღამოს პიკის საათი
16	მ/ს "სადგურის მოედანი "	0.55%	0	1
	ჭოლა ლომთათიძის ქ.	1.28%	1	2
49	ილია ვეკუას ქ.	2.07%	1	3
	მუხიანის I მ/რ	2.21%	1	3
77	მ/ს "სადგურის მოედანი"	5.13%	2	8
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	1.28%	1	2
101	მ/ს "სადგურის მოედანი"	1.36%	1	2
	ჩარგლის ქ.	1.28%	1	2
117	ვაზისუბნის I მ/რ	2.20%	1	3
	თბილისი მოლის მიმდებ.	3.44%	1	5
122	ნიკო ფიროსმანის მოედნი	5.28%	2	8
	მაღლივი კორპუსი	0.85%	0	1

[6] რეზერვი გამოთვლილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის შეფასების (თავი: „საზოგადოებრივი ტრანსპორტი“) ცხრილიდან.

126	ილია ჭავჭავაძის გამზირი	1.03%	0	2
	ზღვის უბნის დასახლება X"ა" კვ	6.12%	2	9
129	მ/ს "საგურის მოედანი "	0.55%	0	1
	ეკა ბეჟანიშვილის ქ.	1.28%	1	2
135	მაღლივი კორპუსი	1.64%	1	2
	მუხიანის IV "ბ" მ/რ	6.44%	3	10
142	დავით კლდიაშვილის ქუცა	0.00%	0	0
	მუხიანის IV მ/რ	0.53%	0	1
150	ვარკეთილი 3, I მ/რ	1.92%	1	3
	კონსტანტინე ჩაჩავას ქ.	5.14%	2	8
184	მ/ს "დიდუბე	11.43%	5	17
	სანდრო ეულის ქ.	0.92%	0	1
192	მ/ს "ისანი"	2.86%	1	4
	დიდი დიღომი IV მ/რ	3.15%	1	5
197	მ/ს "სადგურის მოედნი"	1.36%	1	2
	ზღვის უბნის IV მ/რ	1.28%	1	2
198	წინანდლის ქ.	2.72%	1	4
	გლდანულა	2.77%	1	4
17	რკინიგზის გადასასვლელი ხიდი	1.64%	1	2
	მუხიანის IV ბ მ/რ	1.18%	0	2
62	სადგურის მოედანი	1.36%	1	2
	ზღვის უბნის III მ/რ IV კვ.	1.28%	1	2
70	რკინიგზის გადასასვლელი ხიდი	3.71%	1	6
	ქვემო ავჭალა	1.18%	0	2
23	ზარათაშვილის ქუჩა	5.13%	2	8
	გლდანის ტბა	2.21%	1	3
95	ზარათაშვილის ქუჩა	2.07%	1	3
	მუხიანის III მ/რ	2.21%	1	3

ცხრილი N 24

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	მიზიდული მგზავრების გადაადგილება პროცენტებში	დამატებულ მგზავრთა რაოდენობა	დამატებულ მგზავრთა რაოდენობა
			დილის პიკის საათი	საღამოს პიკის საათი

16	მ/ს "სადგურის მოედანი "	1.30%	2	0
	ჭოლა ლომთათიძის ქ.	0.52%	1	0
49	ილია ვეკუას ქ.	2.23%	3	1
	მუხიანის I მ/რ	1.95%	2	1
77	მ/ს "სადგურის მოედანი"	1.30%	2	0
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	4.98%	6	1
101	მ/ს "სადგურის მოედანი"	1.30%	2	0
	ჩარგლის ქ.	1.28%	2	0
117	ვაზისუბნის I მ/რ	3.46%	4	1
	თბილისი მოლის მიმდებ.	2.93%	4	1
122	ნიკო ფიროსმანის მოედნი	0.86%	1	0
	მაღლივი კორპუსი	5.53%	7	1
126	ილია ჭავჭავაძის გამზირი	6.15%	8	2
	ზღვის უბნის დასახლება X"ა" კვ	0.98%	1	0
129	მ/ს "საგურის მოედანი "	1.30%	2	0
	ეკა ბეჟანიშვილის ქ.	0.52%	1	0
135	მაღლივი კორპუსი	6.46%	8	2
	მუხიანის IV "ბ" მ/რ	1.52%	2	0
142	დავით კლდიაშვილის ქუცა	0.00%	0	0
	მუხიანის IV მ/რ	1.71%	2	0
150	ვარკეთილი 3, I მ/რ	5.16%	6	1
	კონსტანტინე ჩაჩავას ქ.	1.88%	2	0
184	მ/ს "დიდუბე	0.89%	1	0
	სანდრო ეულის ქ.	11.16%	14	3
192	მ/ს "ისანი"	3.18%	4	1
	დიდი დიღომი IV მ/რ	2.75%	3	1
197	მ/ს "სადგურის მოედნი"	1.30%	2	0
	ზღვის უბნის IV მ/რ	1.28%	2	0
198	წინანდლის ქ.	2.80%	3	1
	გლდანულა	2.23%	3	1

17	რკინიგზის გადასასვლელი ხიდი	1.19%	1	0
	მუხიანის IV ბ მ/რ	1.52%	2	0
62	სადგურის მოედანი	1.30%	2	0
	ზღვის უბნის III მ/რ IV კვ.	1.28%	2	0
70	რკინიგზის გადასასვლელი ხიდი	1.19%	1	0
	ქვემო ავჭალა	3.22%	4	1
23	ბარათაშვილის ქუჩა	2.23%	3	1
	გლდანის ტბა	4.98%	6	1
95	ბარათაშვილის ქუჩა	2.23%	3	1
	მუხიანის III მ/რ	1.95%	2	1

ცხრილი N 25

საკვლევი არეალის ქუჩებისა და კვანძების გამტარუნარიანობის კვლევა

ლოკაცია#1 დავით გურამიშვილის გამზირის, ცოტნე დადიანის ქუჩის და თორნიკე ერისთავის ქუჩის კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 1)

დავით გურამიშვილის გამზირის, ცოტნე დადიანის ქუჩის და თორნიკე ერისთავის ქუჩის კვეთა წარმოადგენს შუქნიშნის სიგნალებით რეგულირებულ გზაჯვარედინს.

დავით გურამიშვილის გამზირზე არის ორმხრივი მოძრაობა, თითოეული მიმართულებით სამ-სამი სამოძრაო ზოლით, მაგრამ გზაჯვარედინთან შესასვლელ 200 მეტრ მანძილზე გზა განიერდება, რისი წყალობითაც კიდევ ემატება ერთი ზოლი. სულ არსებული ოთხი ზოლიდან უკიდურესი მარჯვენა ერთ ზოლი იძლევა მხოლოდ მარჯვნივ, ხოლო შემდეგი ზოლი პირდაპირ და მარჯვნივ - ერისთავის ქუჩის მიმართულებით (მიმართულება 1.1) მოძრაობის უფლებას, ხოლო დანარჩენი ორი ზოლი - მხოლოდ პირდაპირ დადიანის ქუჩის მიმართულებით (მიმართულება 1.4) მოძრაობის უფლებას.

ცოტნე დადიანის ქუჩაზე არის ორმხრივი მოძრაობა, თითოეული მიმართულებით ორ-ორი სამოძრაო ზოლით. აღნიშნული გზაჯვარედინის შესასვლელზე სავალი ნაწილი აქაც განიერდება, რისი წყალობითაც შესასვლელზე დამატებულია ორი ზოლი და გამოსასვლელზე ერთი ზოლი. გზაჯვარედინის შესასვლელზე არსებული ოთხი ზოლიდან მარჯვენა ორი ზოლი იძლევა მხოლოდ პირდაპირ გურამიშვილის გამზირის მიმართულებით (მიმართულება 1.5) მოძრაობის უფლებას, ხოლო მარცხენა ორი ზოლი - მარცხნივ, ერისთავის ქუჩის მიმართულებით (მიმართულება 1.2) მოძრაობის უფლებას.

